ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 18 აგვისტო 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **დავით კვიციანი - კომისიის თავმჯდომარე;**
ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **გიორგი თოლორდავა - კომისიის წევრი.**

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა.
2. კონკურსში გამარჯვებულების მიერ ნებართვის საფასურის გადახდის ვადის განსაზღვრა.

კომისიამ განიხილა:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 18 ივლისის N№42.42231998 ბრძანების თანახმად გამოცხადებულ კონკურსში, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია ქალაქ ფოთში, რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით დადგენილ ვადაში, M2 კატეგორიაზე წარმოადგინა ინდივიდუალურმა მეწარმეებმა (25 ინდ/მეწარმე), ხოლო M3 კატეგორიაზე შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანიამ". კონკურსანტების მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილმა განაცხადმა და თანდართულმა დოკუმენტაციამ დააკმაყოფილა საკონკურსო პირობები და ინდივიდუალური მეწარმეები (25 ინდ/მეწარმე) და შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია" დაშვებულ იქნა კონკურსზე. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია საკონკურსო კომისიის 2023 წლის 10 აგვისტოს №1 ოქმით.
კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ, ქალაქი ფოთი, დანელიას ქუჩა N39-ის მიმდებარედ, 2023 წლის 10 აგვისტოდან 18 აგვისტოს ჩათვლით. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანიის" და 23 ინდივიდუალური მეწარმის მიერ წარმოდგენილმა ავტოსატრანსპორტო საშუალებებმა დააკმაყოფილა საკონკურსო მოთხოვნები, რაც დადასტურებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის საჯარო მოსამსახურეებისაგან შექმნილი სამუშაო ჯგუფის, 2023 წლის 18 აგვისტოს №1 დასკვნით (იხ. დანართი).

კომისიამ დაადგინა:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია" (9 ერთეული ავტობუსი) და 23 ინდივიდუალური მეწარმე, კონკურსში გამარჯვებულზე ქალაქ ფოთში, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცეს დანართი №1-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული ოქმის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია ნებართვის გამცემს წარუდგინოს რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის 1 (ერთი) თვის ფასის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებართვა არ გაიცემა. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის მიღებიდან, ყოველი მომდევნო თვის ნებართვის საფასური გადაიხადოს არაუგვიანეს მომდევნო თვის ბოლო დღისა.
3. საკონკურსო კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება, გამოქვეყნდეს ვებ.გვერდზე http://www.poti.gov.ge.

კომისიის თავმჯდომარე: დავითი კვიციანი

კომისიის წევრები: გიორგი თოლორდავა

შენიშვნა: კომისიის წევრი ვასილ თოდუა იმყოფება შვებულებაში